# სს საქართველოს რკინიგზის მწვანე ობლიგაცია

**ქვეყანა:** საქართველო

**პროექტის ნომერი:** 52549

**ბიზნეს სექტორი:** ინფრასტრუქტურა ევრაზია

**შეტყობინების ტიპი:** სახელმწიფო

**გარემოს დაცვის კატეგორია:** B

**საბჭოზე გატანის თარიღი:** 2021 წლის 9 ივნისი

**სტატუსი:** ხელმოწერილი

**პროექტის მოკლე ანოტაციის გამოქვეყნების თარიღი:** 2021 წლის 23 ივნისი

**პროექტის აღწერა**
50 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია 500 მილიონი აშშ დოლარის შვიდწლიანი არაუზრუნველყოფილი მწვანე ევროობლიგაციის ემისიაში ("მწვანე ობლიგაცია"), რომელიც განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე და გამოშვებულია სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული სარკინიგზო კომპანიის „სს საქართველოს რკინიგზის“ (შემდგომში "კომპანია" ან "GR") მიერ ("პროექტი"). ეს არის პირველი მწვანე ობლიგაცია, რომელიც კომპანიამ გამოუშვა ახლად შემუშავებული მწვანე ობლიგაციის კონცეფციის საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაშია მწვანე ობლიგაციების პრინციპებთან, რაც დაადასტურა მეორე მხარის დამოუკიდებელმა დასკვნამ.

**პროექტის მიზნები**
ევროობლიგაციიდან მიღებული თანხა მოხმარდება კომპანიის არსებული, 2012 წელს გამოშვებული ობლიგაციის რეფინანსირებასა და რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის დასრულებისათვის საჭირო დარჩენილი კაპიტალური ხარჯების დაფინანსებას. ბანკის თანხები მხოლოდ რეფინანსირებისკენ იქნება მიმართული.

**გარდამავალი ეტაპი გარდაქმნის ეფექტი**
გარდამავალი ეტაპი / ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი: 67 ETI 67

გარდამავალ ეტაპზე ზემოქმედება გამომდინარეობს **მდგრადობისა და ინკლუზიურობის** თვისებებიდან:

**მდგრადი** - პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარებას და ეს იქნება ქვეყანაში გამოშვებული მეორე მწვანე ევროობლიგაცია, და პირველი, რომელიც გამოშვებულია სახელმწიფო საწარმოს (SOE) მიერ. გარდა ამისა, ბანკი მხარს დაუჭერს სს

საქართველოს რკინიგზას დიგიტალიზაციის ჩარჩო კონცეფციის დანერგვით, რომელიც მიზნად ისახავს მომგებიანობისა და ოპერატიული ეფექტურობის გაზრდას.

**ინკლუზიური** - კომპანია შექმნის დასაქმების საკვანძო საშუალებებს და დანერგავს მიზნობრივ საქმიანობას (ე.ი. პროფესიული სწავლების განახლებულ პროგრამებს) ახალგაზრდული ნიჭის, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ქალთა სამუშაო ძალის საინჟინრო და ტექნიკურ პოზიციებზე მოსაზიდად. თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკისა და პრაქტიკის დანერგვა, სავარაუდოდ, გააუმჯობესებს გენდერულ ბალანსს კომპანიის საქმიანობაში და გაზრდის ქალთა სამუშაო ძალის წილს მამაკაცების მიერ დომინირებულ პროფესიებში.

**ინფორმაცია კლიენტის შესახებ**
სს "საქართველოს რკინიგზა"
სს საქართველოს რკინიგზა არის საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სარკინიგზო კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს სატვირთო და სამგზავრო ტრანსპორტირების მომსახურებას და ასევე, მართავს სარკინიგზო ინფრასტრუქტურას. კომპანიის ერთადერთი აქციონერია სს საპარტნიორო ფონდი, 2011 წელს შექმნილი ეროვნული საინვესტიციო ფონდი, რომლის 100 პროცენტი ეკუთვნის საქართველოს მთავრობას.

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსების ჯამი**
50,000,000.00 ევრო

**პროექტის მთლიანი ღირებულება**
500,000,000.00 ევრო

**გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები**
კატეგორია B (2019 წელს დამტკიცებული „გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის" მიხედვით ESP 2019). გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების კომპლექსური შესწავლა (ESDD) განხორციელდა დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ და მოიცავდა კომპანიის მიერ მოწოდებული საინფორმაციო პაკეტის განხილვასა და რკინიგზის მონაკვეთების ადგილზე დათვალიერებასა და შესწავლას. გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) რისკები და ზემოქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის მონაწილეობასთან ევროობლიგაციის გამოშვებაში მოდერნიზაციასთან დაკავშირებული საუშაოების (და არა კაპიტალური ხარჯების Capex) რეფინანსირების მიზნით, ადგილზე მორგებულია, ადვილად გამოსავლენია და მათი მართვა შესაძლებელია კომპანიასთან შეთანხმებული და ჩარჩო ხელშეკრულებაში ასახული გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) განხორციელებით.

რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტი, რომელიც მოიცავს 60 კმ რკინიგზის რეაბილიტაციასა და მშენებლობას, რამდენიმე გვირაბისა და ხიდის ჩათვლით, გაწერილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ხუთ პაკეტში და შესაბამის (2011 – დან 2020 წლებში მიღებულ) ნებართვებში. 2021 წლის აპრილის მონაცემებით, მოდერნიზაციის პროექტში მიღწეულმა პროგრესმა 96 პროცენტი შეადგინა, ყველა ძირითადი მიწის სამუშაო, გვირაბის მშენებლობა

და ხიმინჯების დამონტაჟება ხიდებისათვის დასრულებულია, ხოლო ლიანდაგის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

ESDD– ის შედეგებმა მიუთითა, რომ სს საქართველოს რკინიგზა მუშაობს საქართველოში არსებული მოთხოვნების შესაბამისად; მიუხედავად ამისა, მას მოეთხოვება კომპანიის კორპორატიული გარემოსდაცვითი და სოციალური E&S მართვის სისტემები შესაბამისობაში მოიყვანოს ბანკის „შესრულების მოთხოვნებთან“ (PR). სს საქართველოს რკინიგზას აქვს მართვის სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას ეროვნულ რეგულაციებთან. კომპანიას აქვს ინტეგრირებული მართვის სისტემა, რომელიც კარგად არის შემუშავებული ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი (HSE) საკითხების კუთხით, მაგრამ საჭიროა მისი გაძლიერება სოციალური და შრომასთან დაკავშირებული საკითხებში; ESAP მოითხოვს, რომ სს საქართველოს რკინიგზამ დაიქირაოს სოციალური ექსპერტი. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის HSE მენეჯმენტის ყოვლისმომცველი გეგმა არსებობს და ზოგადად შეესაბამება „შესრულების მოთხოვნებს“ PR, კომპლექსურმა შესწავლამ (DD) დაადგინა, რომ სამშენებლო კონტრაქტორების საქმიანობის „შესრულება“ მოითხოვს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი (HSE) და შრომის საკითხების კუთხით გაუმჯობესებას და სახიფათო სამუშაო პრაქტიკასთან და შრომით საჩივრებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. ESDD– მ გამოავლინა, რომ კომპანიის შრომასთან დაკავშირებული პოლიტიკა და პრაქტიკა არ ვრცელდება კონტრაქტორებზე, ამასთანავე, კონტრაქტორების შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრაქტიკაზე ოფიციალური ზედამხედველობა არ არსებობს. კომპანიამ დადო ხელშეკრულება ხელმძღვანელ სუპერვაიზერთან, რომელიც განახორციელებს ტექნიკურ და საინჟინრო ზედამხედველობას სამშენებლო სამუშაოებზე, მათ შორის HSE მეთვალყურეობაზე. არსებობს გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამა, მაგრამ საჭიროა მისი განმტკიცება ESAP ის მოთხოვნების მიხედვით.

ადამიანური რესურსების პოლიტიკის სხვადასხვა დოკუმენტი შემუშავებულია და ადგილზეა, თუმცა საჭიროა მისი ფორმალიზება ადამიანური რესურსების ოფიციალური პოლიტიკით და გაუმჯობესებული ურთიერთობით როგორც სს საქართველოს რკინიგზის თანამშრომლებთან, ასევე კონტრაქტორებთან იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება სამუშაო და დასვენების საათებსა და ზეგანაკვეთურ სამუშაოებს. შესაბამისად, მუშაკებისთვის გასაჩივრების მექანიზმის მუშაობს, თუმცა ეს მექანიზმი არ არის საკმარისად ოფიციალური ან დოკუმენტირებული. კომპანიაში დასაქმებულია 12,000-ზე მეტი ადამიანი და მათგან დაახლოებით 60% პროფკავშირის წევრია. მიუხედავად იმისა, რომ სახელფასო განაკვეთები შესადარია ქვეყნის სხვა ინდუსტრიული სექტორების მაჩვენებლებთან, 2019 წელს კოლექტიური დავის დაწყებამ ყველა მუშაკის ხელფასის საკითხთან დაკავშირებით შეთანხმება განაპირობა. კომპანიის შიდა პროცედურები კრძალავს დისკრიმინაციას, თუმცა კომპანიის თანამშრომელთა მხოლოდ 17 პროცენტი არის ქალი. კომპანიას ასევე არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა გენდერული ძალადობისა და შევიწროების სამართავად. ESAP მოიცავს შემდეგ მოთხოვნებს: ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და მშრომელთა გასაჩივრების მექანიზმის გაფორმება, სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი სტრატეგიისა და მიზნების განხორციელება ქალთა დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად. გამოვლინდა, რომ მუშათა საცხოვრებელი არ შეესაბამება EBRD– ის სტანდარტებს ან კარგ საერთაშორისო პრაქტიკას და საჭიროებს გაუმჯობესებასა და მონიტორინგს. ESAP მოიცავს ღონისძიებებს რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანური

რესურსების პოლიტიკის კასკადირებას „არა-თანამშრომელ" დასაქმებულ მუშაკებზე და კონტრაქტორების შრომითი პრაქტიკის ეფექტური მეთვალყურეობის დანერგვას, დაწყებული კონტრაქტორის (დათქმებში გაწერილი) შრომითი პრაქტიკის დამოუკიდებელი აუდიტითა და მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმის შემუშავებით.

ESDD– ს დროს გამოიკვეთა გარემოსდაცვითი რამდენიმე საკითხი, რაც სახიფათო მასალებისა და სახიფათო ნარჩენების დამუშავებას უკავშირდება: პოლიქლორირებული ბიფენილის (PCB) შემცველი მოწყობილობა და ზეთი, აზბესტის შემცველი მასალების (ACM) გამოყენება, აზბესტის ნარჩენები, კრეოზოტის შემცველი შპალების ნარჩენები და ზეთებით დაბინძურებული ნიადაგები (რკინიგზის გარშემო და მის ქვეშ). ESAP– ში გათვალისწინებულია შესაბამისი მაკორექტირებელი ზომები, როგორიცაა სახიფათო ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება, PCB და ACM ინვენტარის განახლება და წყლის ხარისხის გაძლიერებული მონიტორინგი. სს საქართველოს რკინიგზა სარეკონსტრუქციო და ახალ სამშენებლო პროექტებში ახალი აზბესტის მასალებს არ იყენებს.

შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დეპარტამენტი (OHS) ადგილზეა, მუშაობს და გააჩნია საკმარისი რესურსები და პერსონალი, რომლებმაც შეიმუშავეს OHS მართვის სისტემა, რომელიც შეესაბამება კომპანიის საქმიანობის მასშტაბებს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე გეგმა არსებობს საზოგადოების ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე პოტენციური ზემოქმედების მართვის მიზნით, ESDD- მ გამოავლინა ამ გეგმების შესახებ სამუშაო ძალის ინფორმირებულობის დაბალი დონე და მათი არათანაბარი გამოყენება სამშენებლო ობიექტებზე. ESAP-ის მოთხოვნით საჭიროა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმის ფორმალიზება, განხორციელებასა და მის შესრულებაზე ეფექტურ ზედამხედველობა.

რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტისთვის კომპანიის მიერ მიწის შესყიდვის ძირითადი ნაწილი დასრულდა მიწის შესყიდვის პროცედურების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, კომპენსაცია გადახდილია საბაზრო განაკვეთებით. ექსპროპრირებული კერძო მიწა შეადგენდა 86 სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთსა და 28 სახლს. ESDD შეიცავს ინტერვიუებს დაზარალებულ ადამიანებთან, რომლებმაც დაადასტურეს კომპენსაციის განაკვეთების საკმარისი რაოდენობა ალტერნატიული საცხოვრებლის მშენებლობის ან შეძენისთვის, თუმცა კომპენსაციის შეთავაზებებთან დაკავშირებით, მრავალი სასამართლო პროცესი არსებობს. ESDD– მ ასევე გამოავლინა ხარვეზები განსახლების პროცესში, რაც უკავშირდება მოწყვლადი ადამიანების იდენტიფიკაციას, ასევე საარსებო წყაროს აღდგენის ღონისძიებებისა და მონიტორინგის ნაკლებობას. ESAP მოიცავს განსახლების პროცესის მესამე მხარის მიერ ხარვეზის შეფასების მოთხოვნას და მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას. დათქმა მოითხოვს სს საქართველოს რკინიგზისა და ბანკის მიერ მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმის შეთანხმებას.

რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის ერთ-ერთი გვირაბი მდებარეობს ბორჯომი-ხარაგაულის ზურმუხტის (Emerald) უბნის 500 მეტრის სიღრმეზე (კატეგორიაში მოცემულია IUCN II კატეგორია). ESDD– მ დაადასტურა, რომ Emerald– ის ადგილზე მიწისზედა სამუშაოები არ ჩატარებულა. 2019 წელს სს საქართველოს რკინიგზის მიერ მომზადებული ზემოქმედების შეფასების მიხედვით, დაცულ ობიექტზე მოსალოდნელი ზემოქმედება უმნიშვნელოა;

მიუხედავად ამისა, იგი არ გადამოწმებულა საველე მონიტორინგის მიერ. შესაბამისად, ESAP მოითხოვს სს საქართველოს რკინიგზამ ამ სფეროში ჩაატაროს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა.

არ არის მოსალოდნელი, რომ რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტმა რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კულტურულ მემკვიდრეობაზე, თუმცა ESAP მოიცავს „შემთხვევითი აღმოჩენის პროცედურის" (Chance find procedure) შემუშავებას. მიუხედავად იმისა, რომ ESDD-მ დაადგინა, რომ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დონე შეესაბამება პროექტის ხასიათსა და მასშტაბებს, საჭიროა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ოფიციალური გეგმისა და საზოგადოების საჩივრების მექანიზმის შექმნა. ყოველივე ზემოაღნიშნულის შემუშავება შედის ESAP- ში.

ბანკი დააკვირდება კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესრულებასა და ESAP- ის განხორციელებას, გარემოსდაცვითი და სოციალური წლიური ანგარიშების (AESR) მიმოხილვის, ასევე კომპანიასთან კომუნიკაციებისა და ადგილზე მონახულების საშუალებით.

**ტექნიკური თანამშრომლობა**

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ტექნიკური თანამშრომლობის ("TC") დავალებები:

- TC 1: დიგიტალიზაციის ტექნიკურ მიზანშეწონილობის შესწავლა და განხორციელების მხარდაჭერა. დავალების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 600,000 ევროს და დაფინანსდება საერთაშორისო დონორის ან EBRD- ის აქციონერთა სპეციალური ფონდის ("SSF") მიერ.
- TC 2: გენდერული და თანაბარი შესაძლებლობების პროგრამა. დავალების სავარაუდო ღირებულება 140,000 ევროს შეადგენს და დაფინანსდება EBRD– ის გენდერისა და ინკლუზიური TC ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია SSF– ის მიერ.

**კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია**

ირინე ხიზანიშვილი
irine.Khizanishvili@railway.ge
+995 32 219 95 73; +995 577 761 516
www.railway.ge
თამარ მეფის ქუჩა N 15,
0102, თბილისი
საქართველო

**გარდამავალი ეტაპი / გარდაქმნის ეფექტი**

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის გარდამავალი ეტაპის გარდაქმნის ეფექტის მახასიათებლებთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.

**ბიზნეს შესაძლებლობები**
ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:
ტელ: +44 20 7338 7168
ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ EBRD Procurement-ს:
ტელ.: +44 20 7338 6794
ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

**ზოგადი საკითხები**
კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

**გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)**
ESP-ით და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების" მიდგომის განხორციელების გზები. ESP-ი და PR-ი მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ; ასევე შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხების წამოჭრის, საჩივრების მიღების და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვასა და სოციალური საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

**ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა**
EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში, ტარდება კომპლექსური საიმედოობის კვლევა, რომლის მიზანიც პროექტების განხორციელებისას პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკის თავიდან აცილებაა. ბანკი თვლის, რომ პროექტის შეფასების ეტაპზე, პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების

პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.
OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიების პროცესზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ინდივიდმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე: compliance@ebrd.com. თითოეულ საკითხის შემთხვევაში OCCO-ი დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

**ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)**
ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

**პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)**
თუ კლიენტთან ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს.

IPAM-ი დამოუკიდებლად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.
გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, რათა გაარკვიოთ, თუ როგორ უნდა შეიტანოთ განსახილველი მოთხოვნა კონფიდენციალური ონლაინ ფორმის საშუალებით, ელ.ფოსტით (email), ფოსტით ან ტელეფონით. IPAM-ი მზად არის განიხილოს მოთხოვნების შეტანასა და შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები და პასუხის გასცეს ნებისმიერ კითხვას, პროექტის

ანგარიშვალდებულების პოლიტიკასა და სახელმძღვანელოსთან შესაბამისობაში. მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლოა, განმცხადებელთა იდენტობების კონფიდენციალურობის დაცვა.